სახელმწიფო იმუნიტეტების შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი

ბაზელი, 1972 წლის 16 მაისი

წინამდებარე ოქმის ხელმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

გაითვალისწინეს რა სახელმწიფო იმუნიტეტების შესახებ ევროპული კონვენცია – შემდგომში „კონვენციად“ წოდებული – და განსაკუთრებით მისი 21–ე და 34–ე მუხლები;

სურთ რა განავითარონ კონვენციით მოცულ სფეროში ჰარმონიზაციის საქმიანობა, დაგვათა მოგვარებაზე ევროპული პროცედურის შესახებ დებულებათა დამატებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი 1

1. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება არის გამოტანილი კონვენციის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ და აღნიშნული სახელმწიფო არ აძლევს მას მსვლელობას, მხარეს, რომელსაც სურს სასამართლო გადაწყვეტილების გამოყენება ენიჭება უფლება დაადგინოს საკითხი, თუ რამდენად უნდა მიეცეს მსვლელობა სასამართლო გადაწყვეტილებას კონვენციის მე–20 ან 25–ე მუხლების შესაბამისად, შესაბამისი საქმის წარმოების ინიციირებით:

ა. კონვენციის 21–ე მუხლის გამოყენებით ამ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს წინაშე; ან
ბ. ევროპული ტრიბუნალის წინაშე, რომელიც შექმნილია წინამდებარე ოქმის მე–III თავის თანახმად, თუ აღნიშნული სახელმწიფო არის მონაწილე წინამდებარე ოქმისა და არ გაუკეთებია წინამდებარე ოქმის მე–IV თავში მითითებული განცხადება.

არჩევანი ამ ორ შესაძლებლობას შორის იქნება სობოლოო.

2. თუ სახელმწიფო აპირებს საქმის წარმოების ინიციირებას მისი სასამართლოს წინაშე კონვენციის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, მან უნდა შეატყობინოს აღნიშნულის გაკეთების თაობაზე იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება; სახელმწიფოს შემდგომში შეუძლია ასეთი საქმის წარმოების ინიციირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარემ, შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ წამოიწყო საქმია წარმოება ევროპული ტრიბუნალის წინაშე. მაშინ როდესაც აღნიშნული პერიოდი ამოიწურება, მხარეს, რომლის სასარგებლოდაც სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი აღარ შეუძლია საქმის წარმოების ინიციირება ევროპული ტრიბუნალის წინაშე.

3. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია კონვენციის მე–20 და 25–ე მუხლების გამოყენებისათვის, ევროპულ ტრიბუნალს არ შეუძლია გადახედოს სასამართლო გადაწყვეტილებას არსებითად.

თავი II

მუხლი 2

1. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ოქმის ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის კონვენციის განმარტების ან გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით წარდგენილი იქნება, დავის ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოთხოვნით ან სპეციალური შეთანხმებით, ევროპულ ტრიბუნალში, რომელიც შექმნილია წინამდებარე ოქმის მე-IV თავის დებულებათა შესაბამისად. წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ დაუქვემდებარონ ასეთი სახის დავა მოგვარების სხვა ფორმას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხება საკითხს, რომელიც წარმოიშვა კონვენციის ერთი მონაწილე მხარის სასამართლოში კონვენციის მოერე მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ ინიციირებული საქმის წარმოებისას, ან საკითხს, რომელიც წარმოიშვა კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად კონვენციის მონაწილე მხარის სასამართლოში წარმართული საქმის წარმოებისას, ის არ შეიძლება იქნას მიმართული ევროპული ტრიბუნალისადმი, მანამ სანამ სასამართლო არ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას ასეთ საქმის წარმოებაში.

3. არ შეიძლება ევროპულ ტრიბუნალში ისეთი საქმის წარმოების წარმართვა, რომელიც ეხება იმ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ დავას, რომელიც მან უკვე გადაწყვიტა ან ვალდებულია გადაწყვიტოს წინამდებარე ოქმის პირველი თავის თანახმად.

მუხლი 3

წინამდებარე ოქმში არაფერი შეიძლება იქნას განმარტებული, როგორც ხელისშემშლელი ევროპული ტრიბუნალისთვის, რათა გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კონვენციის ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის განმარტების ან გამოყენების თაობაზე და რომელიც შეიძლება მას გადაეცეს სპეციალური შეთანხმებით, თუნდაც იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სახელმწიფოები, ან რომელიმე მათგანი არ არიან წინამდებარე ოქმის მხარეები.

თავი III

მუხლი 4

1. ჩამოყალიბდება ევროპული ტრიბუნალი სახელმწიფო იმუნიტეტების საკითხებზე, რათა გადაწყვიტოს მის წინაშე წარმართული საქმეები წინამდებარე ოქმის პირველი და მეორე თავების დებულებათა შესაბამისად.

2. ევროპული ტრიბუნალი შედგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრებისაგან, ხოლო ევროპის საბჭოს იმ არაწევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც მიუერთდა წინამდებარე ოქმს, ამ სახელმწიფოს მიერ ცხრა წლის ვადით დანიშნული პირისაგან, რომელიც აკმაყოფილებს ამ სასამართლოში ასარჩევად აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თანხმობით.

3. ევროპული ტრიბუნალის თავმჯდომარე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 5

1. როდესაც საქმის წარმოებაა ინიცირებული ევროპულ ტრიბუნალში წინამდებარე ოქმის პირველი თავის დებულებათა შესაბამისად, ევროპული ტრიბუნალი შედგება შვიდი წევრისაგან შემდგარი პალატისაგან. აქ მონაწილეობას მიიღებენ როგორც პალატის ex officio წევრები

ევროპული ტრიბუნალის წევრი, რომელიც არის იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება და ევროპული ტრიბუნალის წევრი, რომელიც არის სასამართლოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე ან თუ ერთ ან მეორე შემთხვევაში არ არის ასეთი წევრი, პირი, რომელიც დანიშნულია დაინტერესებული სახელმწიფოს მთავრობის მიერ, რათა მიიღოს მონაწილეობა პალატის წევრის სტატუსით. დარჩენილი ხუთი წევრის სახელები შერჩეულ იქნება კენჭისყრით ევროპული ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ რეგისტრატორის თანდასწრებით.

2. როდესაც საქმის წარმოებაა ინიცირებული ევროპულ ტრიბუნალში წინამდებარე ოქმის მეორე თავის დებულებათა შესაბამისად, პალატა შედგენილ იქნება წინამორბედი პუნქტში ჩამოყალიბებული წესის შესაბამისად. თუმცა, აქ პალატის ex officio წევრებად იქნებიან ევროპული ტრიბუნალის ის წევრები, რომლებიც არიან დავის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები ან თუ ასეთი წევრი არ იქნება, პირი, რომელიც დანიშნულია დაინტერესებული სახელმწიფოს მთავრობის მიერ, რათა მიიღოს მონაწილეობა პალატის წევრის სტატუსით.

3. როდესაც ტრიბუნალის წინაშე განსახილველი საქმე წარმოშობს სერიოზულ კითხვებს კონვენციის ან წინამდებარე ოქმის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, პალატას შეუძლია ნებისმიერ დროს გადასცეს იურისდიქცია ევროპული ტრიბუნალის პლენარულ სხდომას. იურისდიქციის გადაცემა სავალდებულოა, როდესაც ასეთი საკითხის გადაწყვეტას შესაძლოა ჰქონდეს შედეგი, რომელიც არ შეესაბამება პალატის ან პელანარულ სესიაზე ევროპული ტრიბუნალის მიერ უფრო ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას. იურისდიქციის გადაცემა საბოლოოა. არ არის აუცილებელია მიზეზების წარმოდგენა იურისდიქციის გადაცემაზე გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 6

1. ევროპული ტრიბუნალი გადაწყვიყავს ნებისმიერ დავას იმის თაობაზე, თუ რამდენად გააჩნია ტრიბულას იურისდიქცია.

2. ევროპული ტრიბუნალის მოსმენების იქნება საჯარო, თუ განსაკუთრებულ გარემოებებში ტრიბუნალი არ გადაწყვიტავს სხვაგვარად.

3. ევროპული ტრიბუნალის გადაწყვეტილებანი მიიღებიან დამსწრე წევრთა უმრავლესობით უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. მოცემული იქნება მიზეზები ევროპული ტრიბუნალის გადაწყვეტილებისა. თუ გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სრულად ან ნაწილობრივ ევროპული ტრიბუნალის ცალსახა შეხედულებას, ნებისმიერ წევრს გააჩნია უფლება წარმოადგინოს განხვავებული შეხედულება.

4. ევროპული ტრიბუნალის გადაწყვეტილებები საბოლოოა და სავალდებულოა მხარეებისთვის.

მუხლი 7

1. ევროპული ტრიბუნალი ჩამოაყალიბებს მის საკუთარ წესებს და დაადგენს საკუთარ პროცედურას.

2. ევროპული ტრიბუნალის რეგისტრატურას უზრუნველყოფილ იქნება ადაიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგისტრატორის მიერ.

მუხლი 8

1. ევროპული ტრიბუნალის სამოქმედო ხარჯებს დაფარავს ევროპის საბჭო. წინამდებარე ოქმთან მიერთებული ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების შენატანის საკითხი გადაწყდება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ამ სახელმწიფოებთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ.

2. ევროპული ტრიბუნალის წევრები თითოეული სამუშაო დღისთვის მიიღებენ კომოენსაციას, რომელიც დადგინდება მინისტრთა კომიტეტის მიერ.

თავი IV

მუხლი 9

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით, წინამდებარე ოქმის ხელმოწერისას, ან რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია განაცხადოს, რომ მისთვის სავალდებულოა მხოლოდ წინამდებარე ოქმის მეორედან მეხუთე თავამდე.

2. ასეთი შეტყობინება შესაძლებელია გამოტანილ იქნას ნებისმიერ დროს.

თავი V

მუხლი 10

1. წინამდებარე ოქმის ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც მოაწერეს ხელი კონვენციას. ოგი ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას. რატიფიცირების ან მიღების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივანთან.

2. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა რატიფიცირების ან მიღების შესახებ მეხუთე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს ოქმის რატიფიცირებას ან მიღებას, ოქმია ძალაში შევა რატიფიცირების ან მიღების შესახებ მისი ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

4. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია წინამდებარე ოქმის რატიფიცირება ან მიღება, თუ მას არა აქვს რატიფიცირებული ან მიღებული კონვენცია.

მუხლი 11

1. კონვენციასთან მიერთებულ სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე ოქმთან მიერთება, მას მერე რაც ოქმი შევა ძალაში.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების გზით და ძალაში შევა დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 12

წინამდებარე ოქმთან არ დაიშვება არანაირი დათქმა.

მუხლი 13

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რამდენადაც ეს მას ეხება, შეუძლია წინამდებარე ოქმის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების მეშვეობით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ. თუმცა, ოქმი გააგრძელებს მოქმედებას იმ საქმის წარმოებებთან მიმართებაში, რომლებიც წარმართულ იქნენ წინამდებარე ოქმის დებულებების შესაბამისად იმ თარიღამდე, როდესაც ასეთი დენონსაცია შედის ძალაში.

3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს წინამდებარე ოქმის დენონსაციასაც.

მუხლი 14

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა კონვენციას:

ა. წინამდებარე ოქმის ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ. რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეპონირების თაობაზე;
გ. მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
დ. მეოთხე თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და ასეთი შეტყობინების ნებისმიერი გატანის თაობაზე;
ე. მე-13 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და იმ თარიღის შესახებ, როდესაც ასეთი დენონსაცია შედის ძალაში.

რის დასტურადაც, შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ხელმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. ბაზელში, 1972 წლის მაისის მეთექვსმეტე დღეს, ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტურია და რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.